ს უ რ ა თ ზ ე: ასეთი მომენტი ბევრი იყო მოსკოვის „დინამოს“ კარ-თან. აი, ახლაც, გ. ნოდია შეიჭრა მოსკოველთა საჯარიმო მოედანში, გასცდა მცველებს, უკან მოიტოვა ლ. იაშინიც (იგი მიწაზე წევს), მაგრამ ბურთი არ იქნა და არ გავიდა. ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ამ გუნდების შეხვედრისადმი მიძღვნილი წერილი იხ. მე-3 გვ.).



# ახალი ამბები

● სოჭი, 8 აპრილი. 120-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლით დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა ხუთდღიანი შეჯიბრება. ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ი. ოსინცევმა („ბურევესტნიკი“) — 3:24.50. 5 დღის ჯამში პირად ჩათვლაში საუკეთესო აღმოჩნდა პროფკავშირთა პირველი გუნდის წარმომადგენელი გ. საიდხუჟინი. გუნდურ ჩათვლაშიც პროფკავშირთა პირველი ნაკრების ველოსიპედისტებმა გაიმარჯვეს. II ადგილზე გავიდნენ არმიელები. შეჯიბრებაში, როგორც ცნობილია, პოლონელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. მათგან საუკეთესომ — ი. მიკოლაიჩიკმა XI ადგილი დაიკავა.

● ჰერცეგ-ნოვი, 8 აპრილი. იუგოსლავიის ამ ზღვისპირა ქალაქში 12 უძლიერესი მოჭადრაკის ელვისებურმა ტურნირმა მეტისმეტად დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ 12 კაციდან 11 ბელგრადის ამასწინანდელი „საუკუნის მატჩის“ მონაწილე გახლდათ. ელვისებური ტურნირი ორ წრედ გაიმართა. ასე რომ, მონაწილეებმა 22-22 პარტია ითამაშეს. I ადგილი დაიკავა ამერიკელმა დიდოსტატმა რ. ფიშერმა — 19 ქულა. მან მხოლოდ ერთი პარტია (ვ. კორჩნოისთან) წააგო, ყაიმზე კი დ. ბრონშტეინს, ს. რეშევსკის (აშშ), ვ. ულმანსა (გდრ) და ვ. გორტს (ჩეხოსლოვაკია) შეუთანხმდა. მ. ტალმა 14,5 ქულა დააგროვა, კორჩნოიმ — 14, ტ. პეტროსიანმა — 13,5, ბრონშტეინმა — 13, ჰორტმა — 12, მ. მატულოვიჩმა (იუგოსლავია) — 10,5, ვ. სმისლოვმა — 9,5, რეშევსკიმ — 8,5, ულმანმა — 8, ბ. ივკოვმა — 7,5, ბ. ოსტოიჩმა (ორივე — იუგოსლავია) — 2.

● კიროვსკი, 8 აპრილი. ს. კიროვის პრიზის ტრადიციული გათამაშების მონაწილეებმა კიდევ 2 სახეობაში იასპარეზეს. ვაჟები სპეციალურ სლალომში ცდიდნენ ძალას. 500-მეტრიანი ტრასა ორი ცდით ყველაზე სწრაფად ჩაიქროლა ს. გრიშჩენკომ (ლენინგრადი) — 1.31,0. მასპინძელი ნ. პროკოფიევი გამარჯვებულს 0,6 წამით ჩამორჩა. ქალები 1500-მეტრიანი გიგანტური სლალომის ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველას აჯობა გ. შიხოვამ (მოსკოვის ოლქი) — 1.33,7.

● ნალჩიკი, 8 აპრილი. აქ გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ტყორცნებსა და სპორტულ სიარულში. ვიტებსკელმა ნ. ეროხამ ბადრო 53,90 მეტრზე ტყორცნა და გოგონების საკავშირო რეკორდი დაამყარა. 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში მაღალი შედეგით გაიმარჯვა ვ. ვავილოვმა — 1:30.07.

● ოზერვიზენტალი, 8 აპრილი. „თავისუფალი პრესის პრიზზე“ აქ გამართული „მფრინავ მოთხილამურეთა“ საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის ნაკრებმა (კლიმენკო, კალინინი, ჟეგლანოვი) მოიგო — 706 ქულა. II ადგილზეა ნორვეგიის გუნდი — 697,4, III — გდრ-ის პირველი კოლექტივი — 685,3. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა კალინინმა — 240,7 ქულა (ნახტომები — 79 და 81 მ).

● ნალჩიკი, 8 აპრილი. უროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენი ა. ბონდარჩუკი („კოლოსი“) შესანიშნავად გამოვიდა სსრ კავშირის სოფლის მძლეოსანთა აქ გამართულ ტურნირში: მისი ურო 71,02 მეტრზე დაეცა. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. 100 მეტრზე რბენაში ი. სილოვმა („ვარპა“) და ვ. კირილენკომ („იიუდი“) ერთნაირი დრო (10,3) აჩვენეს. პირველობა კირილენკოს დარჩა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 71 (4065)

11 1970 წ. აპრილი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





დღეს კომუნისტური შაბათობაა! ფიზკულტურელები და სპორტსმენები მზად არიან ამ შრომითი დღესასწაულისთვის.

# დიდი წარმატება

მოსკოვი, 9 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა უდიდესი წარმატება მოიპოვეს ევროპის VII პირველობაში, რომელიც გუშინ დამთავრდა ლუჟნიკის სპორტის სასახლეში. სსრ კავშირის ჩოგბურთელებისთვის ასეთი გამარჯვება პირველია ევროპის ჩემპიონატებში. მათ ოქროს 4, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 4 მედალი მოიხვეჭეს. დანარჩენი ჯილდოები ასე განაწილდა: შვეციამ დაისაკუთრა ოქროს 2, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 2 მედალი, იუგოსლავიამ — ოქროს 1, ვერცხლის 2, რუმინეთმა — ბრინჯაოს 3, ჩეხოსლოვაკიამ — ვერცხლის 2, ინგლისმა — ბრინჯაოს 2, უნგრეთმა — ბრინჯაოს 2, გფრ-მა — ვერცხლის 1, პოლონეთმა — ბრინჯაოს 1 მედალი.

ტრადიციისამებრ, გუნდურ შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედლები მიიღეს IV ადგილზე გასულმა ჩოგბურთელებმაც, პირად ტურნირში კი იმ სპორტსმენებმა, რომელთაც ნახევარფინალში წააგეს.

კონტინენტის პირველობის ნამდვილი გმირი იყო მოსკოველი სტუდენტი ზ. რუდნოვა. თავიდან მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა ქალთა გუნდის წარმატებაში, ბოლო დღეს კი გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი, ევროპის 1968 წლის ჩემპიონი, 16 წლის ი. ვოშტოვა — 15:21, 21:11, 11:21, 21:5, 21:17. ნახევარფინალში რუდნოვა ბაქოელ რ. პოლოსოვას შეხვდა და გაიმარჯვა — 3:2. მეორე ნახევარფინალში იბრძოდნენ ვოშტოვა და რუმინელი ალექსანდრუ. მოიგო ვოშტოვამ — 3:2.

რუდნოვამ და ს. გრინბერგმა დაისაკუთრეს ჩემპიონობა ქალთა წყვილებს შორისაც, როცა დაამარცხეს გფრ-ის წარმომადგენლები დ. შელერი და ა. შიმონი — 21:15, 21:13, 18:21, 21:17. ნახევარფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ალექსანდრუ — კლიშანი (რუმინეთი) — 3:0. მეორე ნახევარფინალში შელერმა და შიმონმა იგივე შედეგით მოუგეს პოლონელებს ცალინსკასა და ნოვორიტას.

რუდნოვამ მოსკოველ ს. გომოზკოვთან ერთად გამარჯვება მოიპოვა შერეულ წყვილთა თანრიგშიც, სადაც ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. მათ დაამარცხეს ბათუმელი ს. სარხოიანი და პოლოსოვა — 21:18, 21:12, 21:15. მანამდე, ნახევარფინალში, რუდნოვამ და გომოზკოვმა სძლიეს ინგლისელებს რაიტსა და ნილს — 3:1, ხოლო პოლოსოვამ და სარხოიანმა — გრინბერგსა და ა. ამელინს — 3:1.

ვაჟთა წყვილებში საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს იუგოსლაველებმა დ. შურბეკმა და ა. სტიპანჩიჩმა, რომელთაც დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონები ამ თანრიგში, შვედები ჰ. ალსერი და ჩ. იუჰანსონი — 3:2. ნახევარფინალში მათ აჯობეს ამელინსა და გომოზკოვს, შვედებმა კი მოუგეს კლამპარს და იონერს.

ვაჟთა შეჯიბრებაში საბოლოო გამარჯვება დაისაკუთრა შეუპოვარმა და უნივერსალურმა მებრძოლმა ალსერმა. მისი უპირატესობა კორპასთან შეხვედრაში აშკარა იყო — 3:0. ნახევარფინალში კორპამ მოუგო იუჰანსონს — 3:2, ალსერმა — ბენგტსონს — 3:0.

* * *

გუშინ დღისით ოქროს მედალი დაისაკუთრა მოსკოველმა ლ. გრიშინამაც, ოღონდ ეს ჯილდო „სანუგეშო ტურნირშია“ მოპოვებული. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ისინი, ვისაც ჩემპიონატის პირველობაში ბედმა უმტყუნა. გრიშინამ გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო ბელგიელ ჟ. დეტაის — 19:21, 21:17, 21:15.

ვერცხლის მედალი მიიღო საბჭოთა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა — კიშინიოველმა მოსწავლემ ა. როდელისმა. ფინალის გზაზე მან დაამარცხა ისეთი ძლიერი მოთამაშეები, როგორიც არიან ფრანგი ვ. პიურკარი (2:1) და შვედი მ. სვენსონი (2:0), მაგრამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში როდელისმა პირველობა ჩეხოსლოვაკიელ ი. კუნცს დაუთმო — 23:21, 17:21, 19:21.

ვფიქრობთ, რომ ეს მედლები ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის მარტო სანუგეშო კი არა, შემდგომი წარმატებებისთვის სტიმულის მიმცემიც იქნება.

(საქპრესი).

საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის დახურულ აუზში მიმდინარეობს „ა“ კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის ოლქის, ხარკოვისა და ლვოვის დინამოელები, მოსკოვის, კიევის, მინსკისა და თბილისის ბურევესტნიკელები, ვოლგოგრადისა და ასტრახანის სპარტაკელები, თბილისის ლოკომოტიველები.

ეს გუნდები სექტემბერში მეორე წრეს გაითამაშებენ, გამარჯვებული კი საგაისოდ „ა“ კლასის I ჯგუფში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს.

მოგვყავს პირველი ორი დღის შედეგები: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ასტრახანი) 5:3, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (მინსკი) 1:3, „დინამო“ (მოსკოვის ოლქი) — „დინამო“ (ხარკოვი) 3:2, „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი) 4:5, „დინამო“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 4:5, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (მინსკი) 3:3, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 5:6, „დინამო“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (ასტრახანი) 2:0, „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ხარკოვი) 6:5, „დინამო“ (ლვოვი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი) 9:2.

# თბილისი — წყალბურთელთა მასპინძელი

გუშინ დღისით გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ხარკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 4:2, „სპარტაკი“ (ასტრახანი) — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) 3:4, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „ბურევესტნიკი“ (მინსკი) 4:3.

ს უ რ ა თ ზ ე: ზ. რუდნოვა — ს. გომოზკოვის წყვილი გადამწყვეტ შეხვედრაში. ფოტო ი. მოპინოვისა („სოვეტსკი სპორტი“).



ეროვნული ბიბლიოთეკა





სსრ კავშირის IX პირველობა ხელბურთში

# გუნდის სული და გული

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 აპრილი.

ცსკა — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 23:18 (12:7).

ცსკა. ა. სემიონოვი, ვილიუმსონი, დანილინი (გაიტანა 2 გოლი), კლიონოვი (9), ლუცენკო (3), ამბარცუმიანი (1), მელნიკი (1), მოროზა, პატრინი (3), აქსიონოვი, მ. გულბისი (4).

„ალუმინსტროი". სპექტოროვი, დიკი, ბურცევი (3), შატილოვი (1), ზელენოვი (3), გორიაჩიხი, რეზნიკოვი (3), პოპადჩუკი (1), პროვორნიკოვი (2), გავროვი, ნევინსკი, ივანოვი (5).

მსაჯები — თ. ჩხარტიშვილი (თბილისი), რ. სარქისიანი (ერევანი).

* * *

„ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — „დაუგავა" (რიგა) 19:15 (8:5).

„ბურევესტნიკი". სკრიპნიკი, ბარიშევი, მოროზოვი (1), შიიანი (4), ნაკონეჩნი (2), მაქსიმოვი (4), პანოვი (4), გრინბერგი (1), ბეზუგლოვი (3).

„დაუგავა". ვილსონი, ინდუსი (2), იუბელისი (3), როზენტალსი (2), სარინგისი (3), შავდინისი (1), ა. გულბისი (2), კიპენე, ვალეიკო (2), პურინში.

მსაჯები — მ. ლიპოვი (ლვოვი), ე. ფაიბუსოვიჩი (ხარკოვი).

* * *

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი" (ზაპოროჟიე) 19:18 (9:11).

საავიაციო ინსტიტუტი. სიჩოვი, ეფიმოვი, ზოტოვი, ოგანეზოვი, ილინი (3), ჟურავლიოვი (8), კოჟუხოვი (1), მახორინი (3), კლიმოვი (4), რუსაკოვი.

„ბურევესტნიკი". იშჩენკო, ლაგუტინი (1), კურგუზიკოვი, ჩურსინი (1), არტამონოვი (4), რეზანოვი, შულგა (2), ტიშჩენკო (2), პოლონსკი (1), შკარლატი, გორელიკი (1).

მსაჯები — ზ. ქეიშვილი, ი. შავგირევი (ორივე — ლენინგრადი).

* * *

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კუნცევო" (მოსკოვი) 16:17 (9:10).

„ბურევესტნიკი". ხუციშვილი, ბერიაშვილი (8), ცერცვაძე (4), ფხაკაძე (2), დვალიშვილი (1), ლაზარიდისი (1), ექსეულიძე, ხინჩიკაშვილი, ბუნაძე.

„კუნცევო". ნ. სემიონოვი, სოლომკო (4), აფანასიევი, კულიოვი (2), მოროზოვი (1), შაიუკი (6), მაზური (2), შევჩენკო (1), მიხალიოვი, ვასილიევი (1).

მსაჯები — რ. სკინდერისი (კაუნასი), გ. გუტერმანი (ვილნიუსი).

* * *

9 აპრილი.

„ბურევესტნიკი" (ზაპოროჟიე) — ცსკა 17:17 (10:8).

„ბურევესტნიკი". იშჩენკო, ტომინი, ლაგუტინი ჩურსინი (2), არტამონოვი (9), რეზანოვი (1), შულგა, ტიშჩენკო (3), შკარლატი, პოლონსკი (2), გორელიკი.

ცსკა. სემიონოვი, ვილიუმსონი, დანილინი, კლიონოვი (3), ლუცენკო (4), ამბარცუმიანი (4), სტოლიაროვი (1), მელნიკი (1), პატრინი (1), აქსიონოვი, გულბისი (3).

მსაჯები — სკინდერისი და გუტერმანი.

* * *

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 14:12 (6:6).

საავიაციო ინსტიტუტი. სიჩოვი, ეფიმოვი (1), ზოტოვი, ოგანეზოვი (2), ილინი, ჟურავლიოვი (2), კოჟუხოვი (1), მახორინი (3), კლიმოვი (5).

„ალუმინსტროი". სპექტოროვი, ბურცევი, შატილოვი (2), ზელენოვი (1), გორიაჩიხი (1), რეზნიკოვი (1), პოპადჩუკი, პროვორნიკოვი, გავროვი (1), ნევინსკი, ივანოვი (6).

მსაჯები — ქეიშვილი და შავგირევი.

* * *

„ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — „კუნცევო" (მოსკოვი) 16:14 (8:8).

„ბურევესტნიკი". სკრიპნიკი, მოროზოვი, შიიანი (5), ნაკონეჩნი, მაქსიმოვი (6), პანოვი (3), გრინბერგი (2), ბეზუგლოვი.

„კუნცევო". სემიონოვი, სავინი, სოლომკო (1), აფანასიევი (4), კულიოვი (4), მოროზოვი, შაიუკი (1), მაზური (3), შევჩენკო, ვასილიევი (1).

მსაჯები — ჩხარტიშვილი და სარქისიანი.

* * *

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „დაუგავა" (რიგა) 17:15 (9:6).

„ბურევესტნიკი". ხუციშვილი, ცერცვაძე (8), ფხაკაძე (3), ბერიაშვილი (2), დვალიშვილი (2), ხინჩიკაშვილი (1), ლაზარიდისი (1), ბუნაძე.

„დაუგავა". ვილსონი, სარინგისი (3), კიპენე (2), გულბისი (3), ინდუსი (2), ვალეიკო (3), იუბელისი (2), როზენტალსი, შავდინისი, პურინში.

მსაჯები — ლიპოვი და ფაიბუსოვიჩი.

* * *

ამ მატჩებით დამთავრდა თბილისის ტური. გუნდებმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მხოლოდ 3-3 შეხვედრა გამართეს, თუმცა ჩემპიონატის ყველა 8 მონაწილე აქ იყო შეკრებილი. პირველი წრის ყველა მატჩი (7-7) ხელბურთელებს თბილისში რომ გაემართათ, ამით საკავშირო ფედერაცია ზედმეტ ხარჯებს აიცილებდა თავიდან, მაგრამ მან ასეთი „გონივრული" გადაწყვეტილება თავიდან მიიღო და ახლა საქმეს არაფერი ეშველება. სამწუხაროდ კია: გუნდები ფორმაში ჩადგნენ და ტურნირიც შეწყდა.

თბილისის „ბურევესტნიკი" კრასნოდარელ თანაკლუბელებთან შეხვედრაში ძალიან დაზარალდა: ფხაკაძე და ხსიერელი მძიმედ დაშავდნენ და შემდგომ მატჩებში ვერ გამოვიდნენ. ექსეულიძე კი „კუნცევოსთან" შეხვედრისას დაშავდა და ბოლო მატჩში ვერც მან ითამაშა. სწორედ ამით აიხსნება თბილისელთა წაგება ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონთან — მოსკოვის „კუნცევოსთან" და ის ძნელი მოგება, რომელიც თბილისელებმა რიგელებთან მწვავე ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა დამაკმაყოფილებელი შედეგით დაამთავრეს შეჯიბრების პირველი ეტაპი: 3 მატჩიდან 2 მოიგეს, ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს და, რაც მთავარია, გვიჩვენეს, რომ უკვე შეუძლიათ ფიქრი ბოლო წლებში დაკარგული პოზიციების აღდგენაზე. გუნდის ახალგაზრდა წევრები ისე გაუბედავად აღარ მოქმედებენ, როგორც ამ ცოტა ხნის წინ. მათს თამაშში უკვე შესამჩნევი დაკვირვება იგრძნობა. რაც მთავარია, ახლა გუნდის ვეტერანებისა და ახალგაზრდების ოსტატობას შორის ზღვარმა საგრძნობლად იკლო. აქვე გვინდა აღვნიშნოთ თბილისელთა მეკარის ა. ხუციშვილის დამაჯერებელი თამაში. იგი გუნდის სული და გული იყო.

ვიმეორებთ, კრასნოდარელების უხეშობა რომ არა, თბილისელთა სატურნირო მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა. კრასნოდარელთა თამაშის ამ მანერაზე პირველად როდი იწერება (ამას „სოვეტსკი სპორტიც" აღნიშნავს), მაგრამ საკავშირო ფედერაცია რატომღაც გვერდს უვლის ამ ამბავს.

უკვე ცნობილი გახდა წლევანდელი ჩემპიონატის მთელი კალენდარი: 6-11 მაისს ზაპოროჟიეში გაიმართება პირველი წრის დასკვნითი ტური. 11-25 მაისს მეორე წრის ყველა შეხვედრა მოსკოვში ჩატარდება. მესამე წრის მატჩები გაიმართება კრასნოდარში 7-19 აგვისტოს. მეოთხე, უკანასკნელი წრის I ტურის თამაშებს გუნდები 2-5 ოქტომბერს გამართავენ ზაპოროჟიესა და მოსკოვში (თითოეულ ქალაქში 4 გუნდი გამოვა). და, ბოლოს, მეოთხე წრის დასკვნითი ტური გაიმართება გლაზოვში. ეს ამბავი პირდაპირ სათვალია: გლაზოვი ჩემპიონატის მონაწილეთა ქალაქებიდან ძალიან დაშორებულია და იქ გუნდების გაგზავნა დიდ ხარჯებს გამოიწვევს.

ჯ. ენუქიძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის" გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



მძლეოსანთა უხეიროდ ორგანიზებული საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირები გახშირდა. მაყურებლები, მწვრთნელები, წარმომადგენლები, სპორტსმენები მიეჩვივნენ ინფორმატორი მსაჯების უგულისყურო მუშაობას, ბილიკებზე და სექტორებში უწესრიგობას. სპორტსმენები ხშირად სამკერდე ნომრების გარეშე გამოდიან, ვერ გაარჩევ, ვინ მსაჯია, ვინ — გუნდის წარმომადგენელი.

მძლეოსანთა შეჯიბრების კულტურას ნაკლები ყურადღება რომ ექცევა, ამაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა. დღესაც ამ თემაზე მოგვიხდება საუბარი, ოღონდ ამჯერად რამდენიმე საქები სიტყვა გვინდა ვთქვათ.

ამ ბოლო ხანს თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის მიერ ჩატარებულ მძლეოსნურ შეჯიბრებებში მდგომარეობა გამოსწორდა, გასულ კვირას იპოდრომზე „პრავდის" პრიზზე ჩატარებულმა საქალაქო კროსმა კი განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენელს ზ. ჯარაშნელს და მთავარ არბიტრს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ჰ. ათაბეგოვს თავი არ დაუზოგავთ, ტურნირი სპორტულ ზეიმს რომ დამსგავსებოდა. მათ მსაჯებიც დაეხმარნენ და მიზანსაც მიაღწიეს. სარბიელი ტრანსპარანტებით, სპორტსაზოგადოებათა დროშებით იყო მორთული, მოედანზე ზედმეტს ვერავის ნახავდით. ცალკეულ დისტანციებზე შეჯიბრების დამთავრებისთანავე აცხადებდნენ შედეგებს და პრიზიორებს აჯილდოებდნენ... იმ დღეს კი ექვს დისტანციაზე გამარჯვებისთვის 300-მდე სპორტსმენი იბრძოდა.

თბილისის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს საუკეთესოთა შესარჩევად ჯერ თავიანთი კროსები უნდა გაემართათ და შემდეგ საქალაქო კროსის ყველა დისტანციაზე 7-7 სპორტსმენი გამოეყვანათ. საქმეს ყველა გულისხმიერად მოეკიდა და საასპარეზოდ სრული გუნდებით გამოცხადდნენ. კარგად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანა ორჯონიკიძის რაიონმა, რომლის სპორტსმენებმაც ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრი თბილისელი მძლეოსანი ამ დღისთვის დედაქალაქში არ იყო: რესპუბლიკის ნაკრების წევრთა ნაწილი ლესელიძეშია, საუკეთესო კროსმენები კი კისლოვოდსკში საკავშირო ჩემპიონატში გამოდიოდნენ. მიუხედავად ამისა, მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა მწვავე და საინტერესო იყო.

ტურნირი 1000 მეტრზე მორბენალმა გოგონებმა გახსნეს. ამ დისტანციაზე უმაღლესი შედეგი II თანრიგის ნორმატივია (3.29,0,), გამარჯვებულმა ნ. ბეზუმენკომ (26 კომისრის რაიონი) კი 3.23,0 აჩვენა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თ. გორბატენკო (ორჯონიკიძის რაიონი) — 3.25,6 და ლ. სკოგორევა (26 კომისრის რაიონი) — 3.30,0.

1500 მეტრზე გამარჯვებისთვის დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს თანაგუნდელმა ქალიშვილებმა ვ. იაკოვლევამ, დ. აფციაურმა და თ. ჭანტურიამ (ყველა — ორჯონიკიძის რაიონი). ისინი შუა დისტანციის მერე დაწინაურდნენ და საპრიზო ადგილების ბედიც ფაქტიურად მათს დავას უნდა გაერკვია. ფინიშამდე ორასიოდე მეტრი რომ დარჩა, III ადგილზე უკვე იაკოვლევა იყო, რომელიც ორივე მეტოქეს ჩამორჩა და საბოლოოდ 5.45,2 აჩვენა. ჭანტურია და აფციაური კი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ და რბენაც ერთად დაამთავრეს (5.42,0). მსაჯთა კოლეგიამ უპირატესობა ჭანტურიას მიაკუთვნა.

სამაგიეროდ, 2000 მეტრზე მორბენალი ქალების უმეტესობა სუსტად იყო

## ზედმეტს ვერავის ნახავდით

მომზადებული. მართალია, გამარჯვებულმა რ. შამოევამ (ლენინის რაიონი) კარგი შედეგი (7.09,0) აჩვენა, მაგრამ თ. მამისეიშვილი (ორჯონიკიძის რაიონი) მას 1 წუთითა და 45,5 წამით ჩამორჩა, თანაგუნდელი ქ. ნატრაძე კი 2 წუთითა და 4 წამით.

3000 მეტრზე მორბენალმა ჭაბუკებმა და 5000 მეტრზე მოასპარეზე იუნიორებმა საკმაოდ მჭიდრო შედეგები აჩვენეს. მაგალითად, 3000 მეტრზე რბენაში ი. პაპიაშვილმა (პირველი მაისის რაიონი, 9.35,8) ი. არჯევანიძეს (26 კომისრის რაიონი) მხოლოდ 1,2 წამი მოუგო, ხოლო არჯევანიძემ ე. ხოკრიშვილს (პირველი მაისის რაიონი) 0,4 წამით აჯობა.

5000 მეტრზე შეჯიბრებაში დიდხანს ლიდერობდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გ. შოშიაშვილი და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. ბერიძე (ორივე — ორჯონიკიძის რაიონი), მაგრამ ბოლო სწორზე შოშიაშვილი დაწინაურდა — 17.26,0. ბერიძემ მასთან 0,8 წამი წააგო. III ადგილზეც მათი თანაგუნდელი მ. კაზაკოვი გავიდა — 17 37,0.

შეჯიბრება 8000 მეტრზე მორბენლებმა დახურეს. ამ ძნელ დისტანციაზე მოასპარეზენი თანდათან რამდენიმე ჯგუფად დანაწილდნენ. რბენას სათავეში უფრო გამოცდილები — ვ. ივანოვი, ი. ცანავა და ი. მიხაილჩენკო მოექცნენ. ბოლო წრეზე ივანოვმა ტემპს ვეღარ გაუძლო და ჩამორჩა, თუმცა III ადგილი მაინც მოიპოვა — 27.47,8. გაიმარჯვა ცანავამ — 25.57,0. მიხაილჩენკოს შედეგია 26.16,5.

ო. ველაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — 2000 მეტრზე მორბენალ ქალთა ერთი ჯგუფი; მარჯვნივ — 8000 მეტრზე მოასპარეზე ჭაბუკთა სტარტი.

ფოტო ავტორისა.

## გათამაშების ცხრილი
### პირველი წრის I ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 3 | 3 | 0 | 0 | 61—49 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 3 | 2 | 0 | 1 | 62—52 | 4 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 3 | 2 | 0 | 1 | 50—48 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) | 3 | 2 | 0 | 1 | 55—58 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (ზაპოროჟიე) | 3 | 1 | 1 | 1 | 53—52 | 3 |
| ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 59—63 | 3 |
| „დაუგავა" (რიგა) | 3 | 0 | 0 | 3 | 46—55 | 0 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 3 | 0 | 0 | 3 | 46—55 | 0 |

## სსრ კავშირის პირველობა



ჩემპიონატის V ტური ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ პრინციპული მეტოქეები — ან ლიდერები, ან აუტსაიდერები, მაგრამ გუნდებმა მეტისმეტად იფრთხილეს: 8 მატჩში სულ 7 ბურთი იქნა გატანილი, 4 შეხვედრა საერთოდ უგოლოდ დამთავრდა. ასეთი „ვალვიანი" ტური კარგახანია არ გვინახავს.

0:0 — ასე ითამაშეს ბაქოში „ნევთჩიმ" და მოსკოვის „სპარტაკმა", როსტოვში — ადგილობრივმა და მოსკოვის არმიელებმა, ერევანში — „არარატმა" და მოსკოვის „ტორპედომ".

კიევის „დინამომ" თავის მინდორზე მხოლოდ უკიდურესად მწვავე ბრძოლის შემდეგ სძლია „ჩერნომორეცს" — 2:1. მასპინძლები წინ იყვნენ (ხმელნიცკი, სერებრიანიკოვი), სტუმრებმა კი 83-ე წუთზე გაქვითეს 1 გოლი (პორკუიანი).

„ზარიასა" და ორჯონიკიძის „სპარტაკის" თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც შაკუნმა 61-ე წუთზე გაიტანა სპარტაკელთა კარში.

მარცხს მარცხზე განიცდის „ფახთაქორი" და ისიც შინ. ტაშკენტელებმა ამჯერად წააგეს „ზენიტთან" — 0:2. ორივე ბურთის ავტორი იყო გონჩაროვი.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია თბილისელი გ. ნოდია — 4 გოლი. ა. ბიშოვეცსა („დინამო", კიევი) და ვ. ფედოტოვს (ცსკა) გატანილი აქვთ 3-3 ბურთი.

# შელახული ავტორიტეტი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 8 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 0:0.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ: იაშინი, შტაპოვი, სმირნოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ეშტრეკოვი, სიომინი, კოზლოვი, ჟუკოვი, ევრიუჟიხინი.

მსაჯი ჰ. სტრენცისი (რიგა).

დუბლიორები — 2:1 მოსკოველთა სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს ავრუცკიმ, უტკინმა (ორივე — მოსკოვი) და დოლობერიძემ (თბილისი).

გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ: არასოდეს არც ერთ გუნდს არა ჰქონია თბილისელი მაყურებლის თვალში ისეთი ავტორიტეტი, როგორიც მოსკოვის „დინამოს". ვის არ ჰქონია (ან არ აქვს) მკვეთრი აღმავლობის წლები: მოსკოვის „სპარტაკსა" და „ტორპედოს", ცსკა-ს, კიევის „დინამოს", მაგრამ მოსკოვის „დინამოს" პრესტიჟი სულ სხვაა.

ამ წმინდა სპორტული პატივისცემის საფუძველია მოსკოველთა მრავალრიცხოვანი გამარჯვებები საკავშირო ჩემპიონატებში და თასზე, საერთაშორისო ასპარეზზე, მათი ბრწყინვალე ფეხბურთელების უმაღლესი ოსტატობა, რომელიც თაობიდან თაობამდე, ს. ილინიდან და მ. იაკუშინიდან მოყოლებული ლ. იაშინამდე გადმოდის.

მაგრამ არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მოსკოვის „დინამოს" აქციებს ყველა სხვასთან შედარებით განუზომლად მაღლა აყენებს და ჩვენი მაყურებლის ინტერესს დედაქალაქის დინამოელთა მიმართ უფრო აღვივებს. ესაა ბალანსი, რომელიც მოსკოველებს აქვთ თბილისის „დინამოსთან". სსრ კავშირში სულ 3 გუნდია, რომლებიც უპირატესობით თამაშობენ ჩვენთან: მოსკოვის „დინამო", „სპარტაკი" და ცსკა. მაგრამ, თუ „სპარტაკისა" და ცსკა-ს დადებითი ბალანსი ისე მცირეა, რომ მისი გამოსწორება თბილისელთათვის სიძნელეს არ წარმოადგენს, მოსკოვის დინამოელთა აბსოლუტურ უპირატესობაზე კამათიც ზედმეტია: ისინი 24 მოგებით გვისწრებენ და, თუ საქმე ამ დიდი „ვალის" გადახდაზე მიდგება, ჩვენ 12 მომავალი ჩემპიონატის მანძილზე ზედიზედ, ორივე წრეში, შინაც და მოსკოვშიც უნდა მოვუგოთ ამ გუნდს, რათა მდგომარეობა გამოვასწოროთ.

ამ ციფრის (24) ერთით შემცირება თბილისის „დინამოს" შეეძლო 8 აპრილს, მატჩი ნორმალურ პირობებში, საყოველთაოდ მიღებული საფეხბურთო კოდექსის შესაბამისად რომ ჩატარებულიყო.

დავიწყოთ ჩვენი მეტოქით. მოსკოვის „დინამო" ახლა რომ გარკვეულ აღმავლობას განიცდის, ეს ნათელია. დინამოელებმა შარშანდელ ჩემპიონატში დაიკავეს მაღალი, IV ადგილი, წლეულს საუკეთესოდ ჩაატარეს ტურნე უცხოეთში და ასეთივე სტარტი აიღეს მიმდინარე გათამაშებაში (2 მატჩი — 2 მოგება, ბურთების სხვაობა—6—0). ამდენად, ეს შეხვედრა უბრალო თამაში კი არ იყო, არამედ ლიდერთა ბრძოლა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ უთამაშია უმაღლეს დონეზე მოსკოვის „დინამოს" თბილისში, რამდენჯერ ტაშით გაგვიცილებია იგი მინდვრიდან! ახლა კი ვიხილეთ გუნდი, რომელიც კი არ თამაშობდა, არამედ მხოლოდ ხელს უშლიდა მეტოქეს თამაშში, უხეშობდა განუწყვეტლივ, თავგამოდებით, დაურიდებლად. ზოგიერთი მოსკოველი ფეხბურთელის მოქმედება ამ მატჩში პირდაპირ უსირცხვილობამდე, უტიფრობამდე მიდიოდა.

ამბობენ, მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება კარგიაო, მაგრამ ვინ თქვა, რომ ეს მართალია?

ნურვინ იფიქრებს, რომ მოსკოვის „დინამოს" ეს უხეშობა შემთხვევით, სტიქიურად, თვით ბრძოლის პროცესში წარმოიქმნა მინდორზე. არა. თანამედროვე ფეხბურთში ეს უხეშობა კარგადაა ცნობილი ევრეთ წოდებული „მცირე ფოლის" სახელით და გამოიყენება მაშინ, როცა ერთი რომელიმე გუნდი უიმედოდაა განწირული წასაგებად და სხვა გზა არა აქვს მდგომარეობის სახსნელად. თამაშის ასეთ ტაქტიკას „მცირე ფოლი" თავაზიან და დელიკატურ ენაზე ჰქვია, თორემ მისი ნამდვილი სახელია ანტიფეხბურთი, ბინძური თამაში, უთავმოყვარეობა. ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ ამ ანტიფეხბურთის უკიდურესად დიდ მავნებლობაზე, იმ ზიანზე, რომელიც მას მოაქვს, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება და, როცა საქმე საქმეზე მიდგება, გამოჩენილი ფეხბურთელები და მწვრთნელებიც კი არ ერიდებიან ამ ხერხის მოშველიებას.

იცით, რამდენი ჯარიმა დაინიშნა მოსკოველთა მხარეს პირველ ტაიმში? დაახლოებით 40! ეხე იყო, წუთი ისე არ გასულა, რომ თამაში არ შეჩერებულიყო. მოსკოველებსაც ეს უნდოდათ. ნელდებოდა ტემპი, გადიოდა დრო, წყდებოდა თამაში — ამას კი მათთვის საბოლოოდ ქულა უნდა მოეტანა. ეს იყო გეგმა, წინასწარ შემუშავებული, დაზუსტებული, ყოველმხრივ აწონდაწონილი სამოქმედო დავალება. მწვრთნელთა ინსტრუქცია უნდა შესრულებულიყო მაქსიმალური სიზუსტით და შესრულდა კიდეც.

იქნებ ვინმეს ეჭვი ეპარება ჩვენს სიტყვებში? მოსკოველებს, მაგალითად, ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში არც ერთხელ არ გამოუყვანიათ ახალგაზრდა ჟუკოვი (№ 10), ახლა კი გამოიყვანეს. გახსოვთ მისი თამაში? არაფერი გაუკეთებია იმის მეტი, რომ ფეხდაფეხ, ჩრდილივით დასდევდა ასათიანს, უხეშობდა სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე და წარამარა ტრიბუნებისკენ, რაც შეიძლება შორს ისროდა ბურთს. იქნებ მუდამ ასე თამაშობს ჟუკოვი? თუ ეს ასეა, რად უნდა მოსკოვის „დინამოს" ასეთი უნიჭო ფეხბურთელი? ცხადია, ჟუკოვი თამაშობდა ისე, როგორც მას დაავალა მწვრთნელმა.

გაიხსენეთ სიომინი (№ 8). არც ერთი სათამაშო ეპიზოდი არ დამთავრებულა ისე, რომ მას ჯარიმა არ მიეღო, მაგრამ სიომინს არც უფიქრია შეეცვალა თამაშის მანერა. რა ექნა, ისაც დავალებას ასრულებდა.

გაიხსენეთ შტაპოვი (№ 2), სმირნოვი (№ 3), ზიკოვი (№ 4), მასლოვი (№ 5)... თითოეული მათგანი ხარჯს უხდიდა დაუფარავ, აშკარა ანტიფეხბურთს ერთადერთი დევიზით: „მე თამაში არ შემიძლია, არც შენ გათამაშებ".

რამდენი შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს თბილისელებმა, რამდენი ოსტატური ინდივიდუალური გარღვევა ჰქონდათ მეტრეველს, ასათიანს, გ. და ლ. ნოდიებს, კუტივაძეს, პეტრიაშვილს.. და ყველაფერი ეს თავდებოდა მოსკოველთა სრულიად ელემენტარული, პრიმიტიული, პირველყოფილი კონტრზომით: სარმით. თანაც ეს კეთდებოდა დემონსტრაციულად, უბოდიშოდ.

კიდევ მეტიც: სტუმრებმა ერთიორჯერ ხელჩართული ბრძოლის გამართვაც სცადეს.

აი, ყველაფერი ამის შემდეგ შეგვიძლია თუ არა ვთქვათ: განა ეს მოსკოვის „დინამოა"? შარშან ამავე გუნდების თამაში მოსკოვში დამთავრდა ჩვენი მეტოქის გამარჯვებით — 4:1. აი, ის მოსკოვის „დინამო" იყო. ეს კი, უკაცრავად...

ვიმეორებთ: მოსკოვის „დინამოს" დიდი და სავსებით დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა თბილისში, ახლა ეს ავტორიტეტი შეილახა. ღირდა კი ეს ამბავი ერთ ქულად? ჩვენ არას ვამბობთ იაშინზე, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა თავისი გუნდის წარმატებაში. არას ვამბობთ ეშტრეკოვზე, კოზლოვზე, ევრიუჟიხინზე. ისინი თავიანთი დიდი გუნდის ტრადიციების ღირსეული დამცველები იყვნენ. სხვები კი არა.

ახლა კი ორიოდე სიტყვა მატჩის მსაჯობაზე.

ჰ. სტრენცისი გამოცდილი არბიტრია. იგი დიდი ხანია ემსახურება უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩებს, ცნობილია პრინციპულობით, ობიექტურობით, მაღალი კვალიფიკაციით, არაერთხელ უმსაჯია თბილისსა და ქუთაისშიც და მუდამ მაღალ დონეზე. მაგრამ ასეთი უმწეო და უპრინციპო (სხვა რომ არაფერი ვთქვათ) იგი არ გვახსოვს. სწორედ მისი კურთხევით გაბატონდა მინდორზე ანტიფეხბურთი სტუმრებმა. სტრენცისი სავსებით გულგრილად უყურებდა ამ უმსგავსოებას და 90 წუთის მანძილზე ნეიტრალური, გარეშე პირის ინდიფერენტობით, აუღელვებლად სტვენდა.

ფეხბურთის თამაშის წესებში შავით თეთრზე წერია (პარაგრაფი № 5, მითითებათა პუნქტი №5): მსაჯი უნდა ეცადოს თამაში ჩაატაროს შეჩერებათა რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობით, სტრენცისმა კი, ამ პუნქტის საწინააღმდეგოდ, თამაშის მსვლელობაში შეჩერებათა მაქსიმალური რაოდენობა დაუშვა.

სტრენცისმა შესანიშნავად იცის, რა არის წინასწარ განზრახული უხეშობა, „მცირე ფოლის" ტაქტიკა. იცის, რომ ეს ტაქტიკა მოსკოველებმა გამოიყენეს როგორც აკრძალული, არასპორტული იარაღი ძლიერ მეტოქესთან საბრძოლველად, მაგრამ მას, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებია უხეშობის ალსაკვეთად.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ სტრენცისს უყურადღებოდ არ დაუტოვებია სტუმრების გამოხდომები და აღნიშნავდა ამ დარღვევებს, მაგრამ ამ სასტვენებით იგი ფაქტიურად მოსკოველთა წისქვილზე ასხამდა წყალს: თამაში ყოველ წუთს ჩერდებოდა, ტემპი ნელდებოდა და მოსკოველებს საშუალება ეძლეოდათ ხელახლა მოეწყოთ რიგებინათ არეული დაცვა.

არსებობს კანონი, რომლის ძალითაც მსაჯმა უნდა დასაჯოს მოთამაშე, რომელიც სისტემატურად არღვევს თამაშის რომელიმე წესს. ესე იგი, სტრენცისს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში უნდა გაეფრთხილებინა წესრიგის დამრღვევი მოთამაშეები, შემდეგ კი, ხელახალი გამეორების შემთხვევაში, მინდვრიდანაც გაეძევებინა რომელიმე მათგანი. მსაჯმა ეს არ გააკეთა და ამით დიდი შეცდომა დაუშვა.

ორიოდე სიტყვა პენალტის თაობაზე. ზოგიერთ მაყურებელს პრეტენზია აქვს ორ პენალტზე (ამაზე გვირეკავენ, გვწერენ). მათ მხედველობაში აქვთ მეორე შემთხვევა, როცა გ. ნოდია ხელით დაიჭირეს მოსკოველთა მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე. აქ მსაჯი მართალი იყო, ვინაიდან მან ადრე აღნიშნა დარღვევა მოსკოველთა მხრივ და გააჩერა თამაში, მაგრამ უფრო ადრე, როცა პეტრიაშვილი მოცელა ორმა მოსკოველმა მცველმა, ის კი აშკარა, ასპროცენტიანი პენალტი იყო. ვერ აგვიხსნია რა კანონით, რა წესებით იხელმძღვანელა ამ მომენტში სტრენცისმა. ერთს კი ვურჩევთ რიგელ მსაჯს: თუ მას ოდესმე მოუხდება სემინარების ჩატარება ახალბედა მსაჯებთან და მიადგება პენალტის პუნქტს, განუმარტოს მათ, რომ პენალტი ისაა, რომელიც მე არ დავნიშნე თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა მატჩში 8 აპრილს.

ერთი სიტყვით, სტრენცისმა უნიათოდ, პასიურად, სერიოზული შეცდომებით იმსაჯა და, როგორც არბიტრმა, საკმაოდ შეილახა თავისი ავტორიტეტი. გამსინჯავმა კომისიამ მას სამართლიანად დაუწერა ორიანი.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა თბილისის დინამოელებზე. მათ საუკეთესოდ ჩაატარეს ეს უძნელესი მატჩი, გუნდის თითოეული წევრი ყოველმხრივ ქების ღირსია და თუ მათ ამ დღეს გამარჯვება ვერ მოიპოვეს, ეს „ობიექტური მიზეზების" ბრალია.

ზ. ქორქია.

# ქუთაისელები — მიზნისკენ!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 აპრილი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (მინსკი) 1:0 (0:0).

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჰოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანფიმიადი (ქორიძე), ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ": ხრუსტალიოვი, კუზნეცოვი, გრებნევი, შპილევსკი (რიომინი), სემიონოვი, ვორონინი, ტოლეიკო, ადამოვი, ვასილიევი, მალოფეევი, კურნევი.

მსაჯი ნ. ხაჩატუროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

ჩემპიონატის ყოველი მატჩი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ გათამაშების დებულებას, კერძოდ, მის იმ პუნქტს, რომელიც ერთობ არასახარბიელო ბედს უქადის ბოლო სამ ადგილზე გასულ გუნდებს, ცხადია, ცალკეულ შეხვედრებს მაინც საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. რახან მინსკის „დინამო" ქუთაისელთა ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია იმ ადგილებისთვის ბრძოლაში, რომლებიც უმაღლეს ლიგაში დარჩენის უფლებას იძლევიან, განვლილი მატჩის შედეგს განსაკუთრებული ფასი ჰქონდა.

უნდა ვთქვათ, რომ ტორპედოელებმა ყოველმხრივ შეაფასეს მინსკის „დინამოსთან" გამარჯვების შემთხვევაში აღებული 2 ქულის მნიშვნელობა და საუცხოოდ ჩაატარეს მატჩი. პირველი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა, ისაა, რომ „ტორპედოს" თავდამსხმელებმა შეცვალეს თამაშის სტილი. ახლა ისინი იბრძვიან აქტიურად, მთელს მინდორზე და, საჭიროების შემთხვევაში, ბურთის მოსაპოვებლად უკანაც იხევს. წინა ხაზის ასეთი გამოცოცხლება ძალიან დაეტყო გუნდს. თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა ნახევარდაცვას, რომელიც ახლა უფრო ხშირად მონაწილეობს საიერიშო ოპერაციებში, და მცველებიც მეტი სითამამით ებმებიან ასეთ კომბინაციებში.

ტორპედოელთა საერთო უპირატესობა დასაწყისიდანვე შესამჩნევი იყო. უკვე მე-5 წუთზე საგოლე პოზიციაში აღმოჩნდა ვეკუა, მაგრამ მან ვერ შეძლო ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება. გავიდა ცოტა ხანი და ვეკუა კვლავ გავიდა საუკეთესო პოზიციაზე, მაგრამ ისევ ამაოდ.



ხრუსტალიოვს ხშირად უხდებოდა ბრძოლაში ჩაბმა და ძნელი ბურთების აღება. მინსკელები ეპიზოდურად თუ ახორციელებდნენ კონტრშეტევებს და შორიდან დარტყმით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. ვორონინის ერთ-ერთი ასეთი ბურთი კარგად მოიგერია გოგიამ.

ერთადერთი სახიფათო თავდამსხმელი დინამოელთა შორის იყო ადამოვი, სხვების ნეიტრალიზება კი მასპინძელთა დაცვას არ გასჭირებია.

შესვენების შემდეგ ისევ და ისევ უტევდნენ ტორპედოელები, კვლავ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ უშედეგოდ. და უკვე მაშინ, როცა მასპინძლები თითქოს ფრეს უნდა დასჯერებოდნენ, ქორიძემ კარგად გადააწოდა ბურთი ხერხაძეს და ამ უკანასკნელმა ძლიერად დაარტყა კარში. ხრუსტალიოვმა შეძლო დარტყმის მოგერიება, მაგრამ ბურთს მოუსწრო ვეკუამ და გოლი გაიტანა. ამ გოლმა ქუთაისის „ტორპედოს" მოუტანა დამსახურებული გამარჯვება და მასთან ერთად 2 უაღრესად საჭირო ქულა.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •

სურათზე: დ. ვეკუას მიერ დარტყმულ ბურთს ნახტომში იგერიებს ვ. ხრუსტალიოვი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 0 | 9—2 | 9 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (კიევი) | 5 | 4 | 0 | 1 | 7—4 | 8 |
| ᲪᲡᲙᲐ | 4 | 3 | 1 | 0 | 9—0 | 7 |
| „ᲖᲐᲠᲘᲐ" (ვოროშილოვგრადი) | 5 | 2 | 3 | 0 | 4—1 | 7 |
| „ᲜᲔᲕᲗᲩᲘ" (ბაქო) | 4 | 2 | 2 | 0 | 6—1 | 6 |
| „ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ" (ერევანი) | 4 | 2 | 2 | 0 | 3—1 | 6 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მოსკოვი) | 3 | 2 | 1 | 0 | 6—0 | 5 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (მოსკოვი) | 5 | 1 | 3 | 1 | 7—5 | 5 |
| ᲐᲡᲙ (როსტოვი) | 4 | 2 | 1 | 1 | 3—2 | 5 |
| „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ" (ქუთაისი) | 5 | 1 | 2 | 2 | 3—4 | 4 |
| „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ" (მოსკოვი) | 5 | 1 | 2 | 2 | 3—6 | 4 |
| „ᲖᲔᲜᲘᲢᲘ" (ლენინგრადი) | 5 | 1 | 1 | 3 | 4—9 | 3 |
| „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ" (ოდესა) | 4 | 0 | 2 | 2 | 2—4 | 2 |
| „ᲞᲐᲮᲗᲐᲙᲝᲠᲘ" (ტაშკენტი) | 5 | 0 | 2 | 3 | 1—12 | 2 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მინსკი) | 4 | 0 | 1 | 3 | 2—5 | 1 |
| „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ" (დონეცკი) | 4 | 0 | 1 | 3 | 1—6 | 1 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ორჯონიკიძე) | 5 | 0 | 1 | 4 | 3—11 | 1 |

# ყოჩაღ, ნელი!

წყალში მხტომელთა ქომაგებს წლევანდელი სეზონის დაწყებისთანავე დიდი სიხარული მოუტანა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ნელი ცოცხალაშვილმა: შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობაში მან ტრამპლინიდან ხტომის ბევრი ცნობილი წარმომადგენელი დაჯაბნა და ოქროს მედალი მოიპოვა. კოშკიდან ხტომაში ცოცხალაშვილს ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად.

— ჩვენი სპორტსმენები ტაშკენტში უზბეკეთის, ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრაზე იყვნენ მიწვეული. თბილისელმა ქალიშვილმა დახვეწილი ოსტატობით მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, — გვიამბო რესპუბლიკის წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდის უფროსმა ო. ახობაძემ.

8-მეტრიან ტრამპლინზე ნ. ცოცხალაშვილმა 156,73 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ა. კალიაგინა მეორე იყო — 148,99. III ადგილი მასპინძელ ვ. ზავადოვსკაიას ხვდა — 134,99.

ცოცხალაშვილს ბადალი არ ჰყავდა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაშიც. აქ მან 109,95 ქულა მოაგროვა (ესეც ოსტატის შედეგია). ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ნ. კიშკომ ოსტატობის კანდიდატის შედეგი (98,25 ქულა) აჩვენა. იგი 2,24 ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასულ ე. ტოჩილინას (უზბეკეთი).

ტრამპლინიდან მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. დრიგაილო (უზბეკეთი) — 177,09, 2. რ. არუთინოვი — 165,00, 3. ა. ოსინინი (ორივე — საქართველო) — 156,15.

10-მეტრიანი კოშკიდან ხტომა: 1. ვ. ტერემცევი — 182,82, 2. ნ. იუდაშევი (ორივე — უზბეკეთი) — 178,31, 3. ვ. ბასიუკი (საქართველო) — 166,17.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს წარმომადგენლებმა — 1628,20 ქულა.

თ. გაჩეჩილაძე.

# 16 ფინალისტის საქმენი



რუანი, 9 აპრილი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა შარშანდელი ევროპული სეზონის საუკეთესო სნაიპერმა ჟეკოვმა, მაგრამ 10 წუთის შემდეგ მასპინძელთა ნახევარმცველმა მიშელმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

შემდეგ თამაშს ბულგარელი ფეხბურთელები 8 მაისს გამართავენ სოფიაში სსრ კავშირის ნაკრებთან.

შტუტგარტი, 9 აპრილი. გფრ-ისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების აქ გამართულ შეხვედრაში პირველ წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს. მე-18 წუთზე ნეაგუმ ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა მწვავედ შეუტიეს რუმინელ ფეხბურთელებს და 32-ე წუთზე ოვერატმა საპასუხო ბურთი გაიტანა.

შესვენების შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა.

ბუენოს-აირესი, 9 აპრილი. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების უიღბლოებმა — არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებმა სულ ახლახან დაამარცხეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ბრაზილიის ეროვნული გუნდი (2:0), ოთხშაბათს კი მათი მსხვერპლი გახდა ურუგვაის ნაკრები — 2:1.

სტუმრებმა შეხვედრის დასაწყისშივე მიაღწიეს წარმატებას (ზუბია), მაგრამ 30-ე წუთზე არგენტინელმა კონგლიარომ ანგარიში გაქვითა.

შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. 65-ე წუთზე მასმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

მომავალ ოთხშაბათს ეს გუნდები მონტევიდეოში შეხვდებიან ერთმანეთს.

სტოკჰოლმი, 9 აპრილი. შვეციის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მექსიკაში გასამგზავრებელი 40 ფეხბურთელი დაასახელა. მათ შორის 9 პროფესიონალია, რომლებიც ბელგიის, გფრ-ის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და შოტლანდიის მოწინავე გუნდებში თამაშობენ. 5 მაისს კი ბერგმარკი 22 საუკეთესოს შეარჩევს და მათთან ერთად მექსიკას გაემგზავრება.

რომი, 9 აპრილი. იტალიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ფ. ვალკარეჯიმ პირველმა დაასახელა მექსიკაში გამგზავრების 22 პრეტენდენტი. ევროპის ჩემპიონთა შემადგენლობაში შევიდნენ უმაღლესი ლიგის შვიდი წამყვანი გუნდის საუკეთესო მოთამაშეები. კანდიდატთა შორის ორი ახალბედაა — უ. ფერანტეხი („ფიორენტინა") და ჯ. ფურინო („იუვენტუსი"). მაგრამ გუნდის საბოლოო შემადგენლობას ვალკარეჯი მოგვიანებით — პორტუგალიისა და გფრ-ის გუნდებთან რამდენიმე საკონტროლო თამაშის შემდეგ დაადგენს.

15 მაისს იტალიის ნაკრები მექსიკის გზას დაადგება.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „ფუტბალის" ანკეტა

ბუქარესტის ჟურნალმა „ფუტბალმა" მიმომხილველებს დაურიგა ანკეტა ასეთი კითხვით: „დაასახელეთ რესპუბლიკის № 1 მოთამაშე".

ხმების დიდი უმრავლესობით უპირატესობა წილად ხვდა ნაკრების ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელ დუმიტრაჩეს, რომელზეც მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებენ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

II ადგილზეა დობრინი, III — ნუნვაილერი.

### „პენიაროლს" ძალიან გაუჭირდა

ურუგვაის განთქმულ კლუბ „პენიაროლს", რომლის ფინანსური მდგომარეობა მუდამ წესრიგში იყო, ბოლო ხანს ძალიან გაუჭირდა. გამოცხადდა, რომ გუნდს მიატოვებს ბრაზილიელი მწვრთნელი ზ. მორეირა, რომელიც „სან-პაულუს" ჩაუდგება სათავეში. ახლა დირექტორატი ეძებს ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის გზებს. ერთ-ერთი მათგანია „ტრანსფერის" (გასაყიდ მოთამაშეთა სია) გამოქვეყნება. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიაში მოხვდნენ გუნდის წამყვანი მოთამაშეები ხ. ქოია, ხ. ცეზარ კორტისი და, რაც მთავარია, იმპორტირებული ვარსკვლავები — არგენტინელი ე. ონეგა და ეკვადორელი ა. სპენსერი.

# „ეკიპის" თასი „ინისს"

სარაევო, 10 აპრილი. ცსკა-ს კალათბურთელები გამოეთხოვნენ კონტინენტის ყველაზე ძვირფას საკლუბო ჯილდოს — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს, რომელიც ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" 1958 წელს დააწესა. ფინალურ მატჩში თასის შარშანდელი მფლობელი დაამარცხა იტალიის ქალაქ ვარესეს გუნდმა „ინისმა" — 79:74 (44:34). იტალიელებმა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს თავიანთი პირველი წარმატება ამ პოპულარულ ტურნირში.

... ცსკა-მ მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყო. ანდრეევი, ბელოვი, კოვალენკო, კაპრანოვი, სელიხოვი. იტალიელთა შორის, როგორც მუდამ, უძლიერესი იყო ინტერნაციონალური დუეტი — მექსიკელი ნავარო მანუელ რაგა და ამერიკელი რიჩარდ ჯონსი. პირველივე წუთებიდან ინიციატივა ხელთ იგდეს იტალიელებმა. 5 წუთის შემდეგ ისინი დაწინაურდნენ საკმაოდ დიდი სხვაობით — 23:12. არმიელთა მწვრთნელმა თამაშში ჩააბა ახალი ძალები (ქარცუხამედოვი, სიდიაკინი), რამაც ერთგვარად გამოაკეთა მდგომარეობა. პირველი ტაიმის მიწურულს ხულიგნური გამოხდომისთვის მსაჯებმა სავსებით სამართლიანად გააძევეს მოედნიდან „ინისის" უძლიერესი თავდამსხმელი ჯონსი.

ამან არმიელ კალათბურთელებს მეორე ტაიმში ერთგვარი შვება მოუტანა, და მალე სხვაობა ორ ქულამდე დავიდა — 54:56. ამ მომენტში ანდრეევს პირველად მიეცა ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ ფარქვეშ უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცდინა მიზანს.

შემდგომში იტალიელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ მოიგეს კიდეც მეტად პასუხსაგები მატჩი.

ფინალისტების მიერ გავლილი გზა, რომელსაც თითქმის 6 თვე დასჭირდა, საოცრად მსგავსია და დამაჯერებელი. გუნდებმა ფინალამდე 8-8 შეხვედრა ჩაატარეს, 7-7 მოიგეს და თითო წააგეს („ინისმა" — ცსკასთან მოსკოვში, ცსკა-მ — „ინისთან" ნეაპოლში). ორივე გუნდი ერთ მეოთხედფინალურ ჯგუფში თამაშობდა, ამიტომ მათი მაჩვენებლების შედარება უფრო იოლია. ცსკა-მ საფრანგეთის „ვილერბანი" დაამარცხა ორჯერ ბურთების სხვაობით 208—159 (+49). „ინისმაც" ორჯერ გაიმარჯვა, მაგრამ მისი მაჩვენებლები უფრო მოკრძალებულია: 172—139 (+32). სამაგიეროდ, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან" მეტოქეებმა როლები შეცვალეს: „ინისმა" ორივე ბრძოლა უფრო დამაჯერებელი სხვაობით მოიგო — 174—139 (+35), ვიდრე ცსკა-მ: 190—174 (+16). ფინალისტთა ერთიერთშეხვედრების შედეგები ჯგუფურ ტურნირში ასეთი იყო: თითო გამარჯვება და ბურთების სხვაობა 142—139 მოსკოვის არმიელთა სასარგებლოდ.

ნახევარფინალში „ინისმა" ორი ბრძოლა მოუგო ესპანეთის ჩემპიონს „რეალს" — 198—159 (+39), ხოლო ცსკა-მ — ჩეხოსლოვაკიის „სლავიას" — 220—154 (+66). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში გუშინდელი მეტოქეები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ორი ბრძოლა მოიგო „ინისმა", ერთი — ცსკა-მ. ბურთების სხვაობაა 218—216 იტალიელთა სასარგებლოდ.

აი, როგორ განაწილდა საბოლოოდ ადგილები ნახევარფინალისტთა შორის.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ინისი" (ვარესე) | 9 | 8 | 1 | 762—653 | 8 |
| ცსკა (მოსკოვი) | 9 | 7 | 2 | 834—705 | 7 |
| „სლავია" (პრაღა) | 8 | 3 | 5 | 611—677 | 3 |
| „რეალი" (მადრიდი) | 8 | 3 | 5 | 602—699 | 3 |

ახლა კი გთავაზობთ ფინალისტთა ყველა შეხვედრის შედეგებს: „ინისი" — „ვილერბანი" 76:69, 96:70, „ცრვენა ზვეზდა" 99:65, 75:74; „რეალი" 90:86, 108:73, ცსკა — „ვილერბანი" 109:79, 99:89; „ცრვენა ზვეზდა" 85:82, 105:92; „სლავია" — 107:79, 113:75. დაბოლოს, ძირითად მეტოქეთა შეხვედრების შედეგები: „ინისი" — ცსკა 60:83, 79:59, 79:74.

# ლიდერები არ შეცვლილან

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხუთჭიდელი ერთნაირად დახელოვნებული უნდა იყოს იმ სახეობებში, რომლებშიც გამოსვლა უხდება. მაგრამ აუცილებელია თუ არა, რომ მას ხუთი სახეობიდან რომელიმე გამორჩეულად უყვარდეს? სპეციალისტთა აზრით, ეს აუცილებელი არ არის, მაგრამ სასურველი კი. თავად განსაჯეთ, რამდენ საჭირო ქულას მისცემს ხუთჭიდელს ის სახეობა, რომელსაც ზედმიწევნით არის დაუფლებული. ხუთჭიდის ისტორიამ ამის ბევრი მაგალითი იცის. გამოჩენილი სპორტსმენები ნოვიკოვი, ბალცო, ტატარინოვი და სხვები, გარდა იმისა, რომ კარგად გამოდიოდნენ ხუთჭიდში, არანაკლები წარმატებით ასპარეზობდნენ ცალკეულ სახეობებშიც. ბევრია სხვა მაგალითიც, როცა ხუთჭიდელს თავისი „პროფესიისთვის უღალატნია" და რომელიმე ცალკეულ სახეობას დაუფლებია. გავიხსენოთ თუნდაც ფარიკაობაში ოლიმპიური ჩემპიონის, უნგრელი კულჩარის, საბჭოთა სპორტსმენის, ჰავანის მსოფლიო პირველობაში გამარჯვებული მოფარიკავის ვალეტოვისა და სხვათა მაგალითები. ამიტომ, ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრი — თითქოს ხუთჭიდელები სრულფასოვნად ვერ ფლობენ სპორტის ამა თუ იმ სახეობას, უმართებულოა.

ახლა კი საქართველოს თასის გათამაშების შესახებ. ცურვაში თავი გამოიჩინეს იმ სპორტსმენებმა, რომლებიც მანამდე მაინცდამაინც არ ბრწყინავდნენ. მაგრამ, ეტყობა, ნ. ახალშენიშვილი („ბურევესტნიკი") და გ. მელაძე („სპარტაკი") ზედმიწევნით არიან დაოსტატებული ამ სახეობაში, რამაც მათ საგრძნობი უპირატესობა მოუტანა დანარჩენ მეტოქეებთან ჭიდილში. განსაკუთრებით ეს ითქმის ახალგაზრდა მელაძეზე, რომლის ცურვის დახვეწილმა სტილმა კმაყოფილება მოჰგვარა არა მარტო ხუთჭიდის, არამედ ცურვის სპეციალისტებსაც.

სხვათა შორის, მელაძე ხუთჭიდის სხვა სახეობებში მეტნაკლები წარმატებით გამოვიდა. ეტყობა, მან საერთო გამარჯვებისთვის პირველ ყოვლისა ფიზიკური ძალის გამომუშავებას უნდა მიაქციოს ყურადღება. წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით მელაძის გამოსვლამ ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა იგი საბოლოოდ მეორე იყო. I ადგილი კი ღირსეულად დაიკავა ასევე ახალგაზრდა სპორტსმენმა ახალშენიშვილმა.

რას აკეთებდნენ ამ დროს ლიდერები? ისინი, გულდაგულ „ზვერავდნენ" ერთმანეთს და ცდილობდნენ ზედმეტი რისკის გარეშე გაესწროთ მეტოქისთვის. მაგალითად, ერთპიროვნული ლიდერისთვის — მაროტისთვის VII ადგილს ხელი არ შეუშლია მოპოვებული პოზიციების განმტკიცებაში. ასევე პირველ სამეულში შეინარჩუნეს ადგილები ა. შეროზიამ და ვ. გავრინმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაროტის მტკიცე ლიდერობა მნიშვნელოვანწილად შეჯიბრების პირველივე დღეს ფარიკაობაში დაგროვილმა ქულებმა განაპირობა (სხვათა შორის, ფარიკაობაში მოგებული ერთი ბრძოლა ცურვაში ქვს წამს უტოლდება).

ლიდერებს შორის ძალთა თანაფარდობა არც მძლეოსნურ კროსს დაურღვევია. სპორტსმენებმა ფრთხილი ტაქტიკური თამაშის ხერხს მიმართეს. როცა შეჯიბრება დამთავრდა და ქულები დაითვალეს, მაროტი კვლავ სათავეში ედგა ასპარეზობას. თუმცა, ასევე როგორც წინა სახეობებში, თუ ფარიკაობას არ ჩავთვლით, მისი შედეგი ამჯერადაც შედარებით მოკრძალებული იყო — IV ადგილი. მძლეოსნურ კროსში გამარჯვება დარჩა გავრინს.

4 სახეობის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: 1. მაროტი — 4021 ქულა, 2. შეროზია — 3841, 3. ვ. გავრინი — 3743.

ა. ბოგელია,
სპორტის ოსტატი.

# ოლიმპიური ჩემპიონები და სხვები...

მინსკი, 9 აპრილი. (საქინფორმი). მოსკოვის გუნდმა მეორედ დაისაკუთრა სსრ კავშირის თასი ფიგურულ ციგურაობაში. დედაქალაქის წარმომადგენლები პირველობდნენ ვაჟთა ერთეულების თანრიგში (ს. ჩეტვერუხინი), ყინულზე სპორტულ ცეკვაში (ტ. ვოიტიუკი — ვ. ჟიგალინი). II ადგილზეა ლენინგრადის გუნდი, III — რუსეთის ფედერაციის კოლექტივი.

მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ესტონეთის სპორტსმენებმა. შემდეგი ორი ადგილი ბელორუსიისა და ლატვიის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

ეს შეჯიბრება რეზერვის თავისებური დათვალიერება იყო. მაგალითად, სასიამოვნო აღმოჩენა გახლდათ ქართველი ფიგურისტების გამოსვლა, რომლებიც საინტერესო ნებისმიერი პროგრამით წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე.

შესამჩნევად აიმაღლეს ოსტატობა ს. ალექსეევამ და ა. ბოიჩუკმა (სპორტული ცეკვა), რომელთაც II ადგილი დაიკავეს. მათი სავალდებულო პროგრამა საუკეთესო იყო ამ შეჯიბრებაში. სპეციალისტები აღნიშნავენ მოსკოველთა მეორე წყვილის — ი. ჩერნიაევასა და ვ. ბლაგოვის (წყვილთა სრიალი) ოსტატობასაც. მათი ვარჯიში თითქმის არ ჩამოუვარდებოდა პროგრამას, რომლითაც გამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი (ლენინგრადი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე

„ლოკომოტივის" სტადიონი




სსრ კავშირის პირველობა




დღეს
„ლოკომოტივი" (თბილისი)
— „ურალმაში"
(სვერდლოვსკი)
დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66148 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 08146